საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-667

17/05/2021

ქ. თბილისი

კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის მინი ქარხანაზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 6 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ევროცემენტის“ დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2005 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ კასპის რაიონის სოფ. კავთისხევიში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის მინი ქარხანაზე გაიცა №88 (22.09.2005) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ევროცემენტის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს კასპის რაიონის სოფ. კავთისხევიში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის მინი ქარხანაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ 2005 წლის 22 სექტემბერს გაცემული №88 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ევროცემენტს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ევროცემენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი